11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა - წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ;

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე;

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი		**მიმწოდებელი**
ა.ა.ი.პ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება“ მის: ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №20 ს/კ 416291364 სს "ლიბერთი ბანკი" ბ/კ LBRTGE22 ა/ნ GE55LB0115154059160000 --- ნუგზარ ლობჟანიძე		შპს „სპორტ სალერ ცენტრი“ მის: ქ. თბილისი, მარსალ გელოვანის N21 ს/კ 404421345 ს.ს. „თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ნ GE27EB7903936080100003 --- ლევან ხარებავა

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. რუსთავი 29 იანვარი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა.ა.ი.პ "ქალაქ რუსთავის სასპორ
სკოლების გაერთიანების" წარმომადგენელი **გოგი მაღალდაძე** და მეორეს მხრ
შ.პ.ს "**სპორტ სალერ ცენტრი**"-ის **დირექტორი ლევან ხარებავა**, ვადგენთ აქტს მასზედ, რ
ა.ა.ი.პ "ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანების" წარმომადგენელმა, ნამდვილ
ჩაიბარა შემდეგი საქონელი: (CPV 37400000)

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1.	კალათბურთის ბურთი	ცალი	1	98,00	98,00
					98,00

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

ა.ა.ი.პ "ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების
გაერთიანების" წარმომადგენელი
გოგი მაღალდაძე

_____

შ.პ.ს "სპორტ სალერ ცენტრი"
წარმომადგენელი

ლევან ხარებავა

_____

ხელშეკრულება № 33

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. რუსთავი **28 იანვარი 2014 წელი**

ერთის მხრივ, ააიპ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ ლობჟანიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს„სპორტ სალერ ცენტრი“** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი **ეკატერინე ყურაშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „საქონელი“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი საქონლის შეძენა: (CPV 37400000)

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1.	კალათბურთის ბურთი	ცალი	1	98,00	98,00
					98,00

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **98,00 (ოთხმოცდათვრამეტი ლარი და ნული თეთრი)** ლარს;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (ლარი);

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე;

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად, მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

ესყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია გოგი მაღალდაძე ხოლო იმწოდებლის მხრიდან ლევან ხარებავა

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ ქ. №20

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 იანვრის ჩათვლით;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით; ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**